

კონფერენცია უკრაინის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების მხარდასაჭერად

დღეები გადის, ოცნებები იმსხვრევა, უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომი კვლავ საფრთხის შემცველია. ამ ფონზე, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA) თვლის, რომ მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა ყურადღების მიპყრობა მათზე, ვინც ახლა იბრძვის მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების გაძლიერების ვალდებულებით, ასოციაცია იწვევს ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს კონფერენციაზე სახელწოდებით „**უკრაინის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების მხარდაჭერა**“. კონფერენცია, მიზნად ისახავს სანდო ინფორმაციის მიწოდებას უკრაინაში ადგილზე არსებულ ვითარებაზე, ისევე როგორც იმ აქტივობებზე, რომლებიც ასოციაციამ (ALDA) განახორციელა მშვიდობიანი მოსახლეობის და გაჭირვებული ადამიანების მხარდასაჭერად. ასევე, ყურადღება გამახვილდება მიმდინარე და სამომავლო აქტივობებზე, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ მხარდაჭერას.

კონფერენცია გაიმართება 2022 წლის 22 ივნისს, 14:30 საათზე, ბრიუსელში, რეზიდენს პალასში.

ამგვარად, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA) წარმოგიდგენთ ქსელის შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობებს და განმარტავს ადგილობრივი მმართველობის სისტემას, რომელიც ამჟამად არსებობს. გაურკვევლობის პერიოდში მოქმედი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები ძლიერი ინსტრუმენტია კრიზისისა და ომის შედეგად დაზარალებული თემების მხარდასაჭერად.

კონკრეტულად, კონფერენცია გაიმართება 2022 წლის 22 ივნისს 14:30 – 17:30 ბრიუსელში, ბელგიაში რეზიდენს პალასში, Wetstraat 155, 1040.

კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელი უკრაინაში (tbc), ტიმ პიტერსი, წარსდგება აუდიტორიის წინაშე მისასალმებელი სიტყვით, რითაც მოამზადებს ნიადაგს კონფერენციისთვის. კონფერენცია შედგება ორი პანელისაგან, თითოეული მათგანი მოიცავს თემის სხვადასხვა ასპექტს. ძირითადად ყურადღება გამახვილდება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებზე (LDAs).

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) გენერალური მდივნის, **ანტონელა ვალმორბიდას** მოდერატორობით, პირველი პანელი კონცენტრირებული იქნება არა მხოლოდ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებზე, არამედ ამ უკანასკნელის მიერ დემოკრატიის ხელშეწყობისა და ხალხის ჩართულობის კუთხით გატარებულ მეთოდებზე.

პირველი პანელის მთავარ მომხსენებლებს შორისაა:

- **ტეტიანა ლომაკინა**, უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი-წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საზოგადოების საკითხებში და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს დელეგატი მარიუპოლში;

- **ალექსანდრა დულკევიჩი**, გდანსკის მერი, [უკრაინის რეგიონის სამუშაო ჯგუფის კომიტეტის პრეზიდენტი](#), ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო მარიუპოლის მთავარი პარტნიორი;
- **ანდრეას კიფერი**, [ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის](#) გენერალური მდივანი და დირექტორი(tbc).

კონფერენციის მეორე პანელის ბოლო ნაწილი დაეთმო სააგენტოების კონკრეტულ მხარდაჭერასა და საჭიროებებს. პირველი პანელის დებატების ფორმატის შემდეგ, მეორე პანელს გაუძღვება **ალექსანდრე კოიკა**, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული კოორდინატორი. მთავარ მომხსენებლებს შორის იქნებიან:

- **ინა ვოლკოვა**, ოდესის რაიონის საბჭოს წევრი;
- **ანჟელიკა პილიპენკო**, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო დნიპროს დელეგატი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;
- **ძენანა დედიჩი**, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო მოსტარის დელეგატი;
- **წარმომადგენელი ვინიცას მუნიციპალიტეტიდან** (უკრაინა), პოტენციური ახალი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს მასპინძელი (tbc).

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციამ (ALDA) უწყის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდამჭერები მზად არიან აღასრულონ თავიანთი ვალდებულება და მოუწოდონ უკრაინულ ადგილობრივ სააგენტოებს, მათი სიმამაცე არის ერთგვარი მინიშნება იმისა, რომ დემოკრატია, მშვიდობა და თავისუფლება დააფასონ სათანადოდ.